საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 22 0000286977

21/03/2022

“შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 დეკემბრის №11010 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. “შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 დეკემბრის №11010 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1.1 "5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 21 დეკემბერს.
1.2 გადაწყვეტილების დანართ N1-ში გასწორდეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი და მიეთითოს 21.12.2021
1.3 გადაწყვეტილების დანართ N1-ში გასწორდეს აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი და მიეთითოს 21.12.2025”.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 21 მარტის № 288108 სხდომის ოქმის № 7 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხური)
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით.
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზირი N76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	21.12.2021
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	21.12.2025